

სოლარ ტურბინს საქართველო, სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)
მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები.....	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში	7
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	8
6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	8
7. შემოსავალი.....	8
8. ოფისის ხარჯები	9
9. დაქირავებულების ანაზღაურება.....	9
10. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები.....	9
11. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან	10
12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	10

სოლარ ტურბინს საქართველო, სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	67,422	103,012
საგადასახადო აქტივი, წმინდა		116,248	107,345
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	8,249	6,915
სულ მიმდინარე აქტივები		191,919	217,272
სულ აქტივები		191,919	217,272
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		157,773	138,057
სულ კაპიტალი		157,773	138,057
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	23,585	66,932
სხვა გადასახდელები		10,561	12,284
სულ მიმდინარე ვალდებულებები		34,146	79,216
სულ ვალდებულებები		34,146	79,216
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		191,919	217,273

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 25 სექტემბერი:

ხოსე მარია ჰორმიგო
დირექტორი

სოლარ ტურბინის საქართველო, სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავლები:			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	7	1,243,655	1,017,953
ხარჯები:			
დაქირავებულების ანაზღაურება	9	(678,505)	(678,505)
ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები		(190,884)	(112,308)
ოფისის ხარჯები	8	(70,192)	(70,382)
პროფესიული მომსახურება		(46,846)	(49,675)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		(15,408)	(15,408)
მივლინების ხარჯები		(28,843)	(45,495)
სხვა შემოსავლები/ხარჯები		(2,017)	(2,488)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		19,717	(14,742)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება/(ზარალი)		19,717	(14,742)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 25 სექტემბერს:

ხოსე მარია ჰორმიგო
დირექტორი

სოლარ ტურბინის საქართველო, სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	სათაო ოფისის ანგარიში	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	-	152,798	152,798
სულ წლის მოგება/(ზარალი)	-	(14,742)	(14,742)
31 დეკემბერი 2018	-	138,056	138,056
სულ წლის მოგება/(ზარალი)	-	19,717	19,717
31 დეკემბერი 2019	-	157,773	157,773

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 25 სექტემბერს:

ხოსე მარია ჰორმიგო
დირექტორი

სოლარ ტურბინს საქართველო, სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სათაო ოფისიდან მიღებული ავანსები		895,043	812,120
გადახდები სათაო ოფისის სახელით		(205,461)	(170,964)
დაქირავებულებისათვის გადახდილი თანხები		(659,810)	(634,009)
მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები		(26,267)	(5,856)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		3,505	1,290
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		-	-
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		3,505	1,290
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(2,171)	(985)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		6,915	6,610
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		8,249	6,915

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 25 სექტემბერს:

ხოსე მარია ჰორმიგო
დირექტორი

1. კომპანია და მისი ოპერაციები

სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს ფილიალი სოლარ ტურბინის საქართველო („კომპანია“) რეგისტრირებულია 2006 წლის 28 ივნისს და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის უცხოური საწარმოს ფილიალი და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სარეგისტრაციო სახელია „სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს ფილიალი სოლარ ტურბინის საქართველო“, კომერციული სახელი - „სოლარ ტურბინის საქართველო“.

კომპანია არის სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს (ბელგია) ფილიალი, დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოში. საბოლოო მაკონტროლებელი მხარეს წარმოადგებს „კატერპილარ ინკ.“ (დელავერი). სტესა წარმოადგენს ბელგიური სათაო ოფისის რისკის შეზღუდულ გამანაწილებელს.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მენეჯმენტი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი წარმოადგენს კონსორციუმს, რომელიც აშენებს მილსადენს ბაქოდან შავი ზღვის მიმართულებით. კომპანია მოქმედებს როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის კონტრაქტორი, რაც განმარტებულია საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მონაწილეებს შორის გაფორმებულ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებაში. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პირობებს: სავსე სამუშაოებზე, მონტაჟისა და ექსპლუატაციაში შესვლისას დახმარებას, შეკეთების მომსახურებას.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია ლესელიძის ქ #44, 0108, თბილისი, საქართველო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში მენეჯმენტის მხრიდან შეფასებების გაკეთებას. ის ასპექტები, რომლებიც შეფასების მაღალი ხარისხითა თუ სირთულით გამოირჩევა, ასევე, ის ასპექტები, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, განმარტებულია შენიშვნაში #3.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

სააღრიცხვო სისტემა. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები წარმოადგენს სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ის (ბელგია) სააღრიცხვო სისტემის ნაწილს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია განცალკევებით კომპანიისთვის წარმოებული ქვედანაყოფის სააღრიცხვო სისტემაზე დაყრდნობით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნასესხებ თანხებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები“. ყველა სხვა სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „სხვა საოპერაციო ხარჯები“ ან „სხვა მოგება“.

კომპანიის სააღრიცხვო პროგრამა არის მულტი-სავალუტო სისტემა და „კატერპილარის“ მიერ დადგენილი თვიური კურსი გამოიყენება ვალუტის კონვერტაციისთვის. ყოველი თვისთვის, „კატერპილარი“ გაიანგარიშებს მსოფლიო მასშტაბით არსებულ ყველა „კატერპილარის“/„სოლარის“ საწარმოსთვის შესაბამის საშუალო კურსს. ტრანზაქციების აღრიცხვისას, გატარების გარიგების ვალუტა კონვერტირდება აშშ დოლარს, ევროსა და ადგილობრივ ვალუტაში (ლარი). ყოველთვიურად, საბალანსო ანგარიშები გადაფასდება („კატერპილარის“ მიერ დადგენილი მომდევნო თვის კურსით) და გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი დაითვლება სისტემის მიერ. სისტემა ასევე გაიანგარიშებს რეალიზებულ საკურსო სხვაობებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკში განთავსებულ უვადო (მოთხოვნამდე) დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი მაშინ იქმნება, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად გადასახდელი თანხების ამოღებას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე ტესტირებას გაივლის. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ცვეთას დაქვემდებარებული არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, მითითებულია ფასდაკლებების, ამონაგების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებელის კომპანიაში შედინების ალბათობა; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილებდა კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. როდესაც ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის რეალურად ღირებულება უტყუარად ვერ ფასდება, შემოსავალი განისაზღვრება გაცემული საქონლის ან მომსახურებების რეალური ღირებულებით.

გადასახადები. მოგების გადასახადი წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისათვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ყველა საწარმოსათვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელით გაუნაწილებელი მოგება ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, განაწილებული კი - 15%-იანი განაკვეთით. წინა მოდელით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მისი განაწილების სტატუსის მიუხედავად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

მოგების დაბეგვრის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც კომპანიაზე ვრცელდება. დასაბეგრი ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ასეთად ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- ისეთი გაწეული ხარჯები თუ სხვა გადახდები, რაც არ არის კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასოდ მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებას ან გადახდასაც კომპანია ვარაუდობს საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან.

განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების შენიშვნების მუხლში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ ეკონომიკურ შინაარსს კარგავს და მის ფასს-ის სტანდარტებით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალ კორპორაციულ საგადასახადო მოდელში არსებობას წყვეტს.

კომპანია გადასახადების მიზნებისათვის წარმოადგენს სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის კონტრაქტორს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით, კომპანია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაწეულ მომსახურებებზე გათავისუფლებული გადასახადებით (გარდა საშემოსავლო გადასახადისა) საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგების ცვლილება მისი გამოქვეყნების შემდეგ. კომპანიის აქციონერს და ხელმძღვანელობას უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოქვეყნების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ გარემოებებში მიიჩნევა გონივრულად. ვარაუდების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასებები, რომლებიც ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომავალ ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

სოლარ ტურბინის საქართველო, სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან	67,422	103,012
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	67,422	103,012

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	6,501	6,915
ტრანზიტული ფული	1,748	
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	8,249	6,915

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
ვალდებულებები დაქირავებულების მიმართ	23,585	44,164
ვალდებულებები მეკავშირე მხარეებთან	-	6,539
სხვა დარიცხული ხარჯები	-	16,229
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,585	66,932

7. შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი სავსე სამუშაოების მხარდაჭერიდან	1,243,655	1,017,953
სულ შემოსავალი	1,243,655	1,017,953

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, სოლარ ტურბინის საქართველო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მონაწილეებს უწევს სავსე სამუშაოების მხარდაჭერ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე. ზემოთხსენებული მომსახურების ინვოისების გამოწერა ხდება სათაო ოფისის მიერ (სოლარ ტურბინს იუროპ ს.ა.). ფილიალის კუთვნილი შემოსავლის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ფილიალის კუთვნილ ხარჯებზე ხდება სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციით განსაზღვრული ფასნამატის გავრცელებით.

სოლარ ტურბინის საქართველო, სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

8. ოფისის ხარჯები

	2019	2018
ოფისის უსაფრთხოების ხარჯი	71,383	65,892
სატელიტური კავშირის მომსახურება	24,519	-
ოფისის იჯარა	2,700	3,940
სხვა ოფისის ხარჯები	126	360
სულ ოფისის ხარჯები	98,728	70,191

9. დაქირავებულების ანაზღაურება

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	658,222	616,937
დაქირავებულებზე გაცემული ბონუსები	31,740	29,828
დაქირავებულების დაზღვევის ხარჯი	14,181	31,740
საპენსიო შენატანები	12,351	-
სხვა დაქირავებულებთან დაკავშირებული ხარჯები	849	-
სულ დაქირავებულების ანაზღაურება	717,343	678,505

10. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დადგენილებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაუგებარი, წინააღმდეგობრივი და მრავალმხრივი ინტერპრეტირებადი სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადები მოწმდება და გამოიძიება სხვადასხვა სამთავრობო ორგანოს მხრიდან, რომელთაც გააჩნიათ ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დარიცხვის უფლებამოსილება. ანგარიშების საგადასახადო შემოწმება შესაძლებელია სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს მეტი ხნის განმავლობაში.

აღნიშნული გარემოებები პოტენციურად საქართველოში წარმოშობს ისეთ საგადასახადო რისკებს, რომლებიც არსებითად აღემატება სხვა ქვეყანაში არსებულს. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მას საკმარისად აქვს აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ მათ შეძლეს საკუთარი ინტერპრეტაციების აღსრულება, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სოლარ ტურბინის საქართველო, სოლარ ტურბინის იუროპ ს.ა.-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

11. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

დავალიანების ნაშთები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან		
- სათაო ოფისი	67,422	103,013
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მეკავშირე მხარეებთან		
- სათაო ოფისი	-	6,539

დებიტორული დავალიანება უზრუნველყოფის გარეშეა და მას პროცენტი არ ერიცხება. მეკავშირე მხარეების მიმართ არსებულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვი არ შექმნილა.

შემოსავლისა და ხარჯების მუხლები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან		
- სათაო ოფისი	1,243,655	1,017,953
საკონსულტაციო მომსახურება		
- სათაო ოფისი	286,251	190,884
პროფესიული მომსახურება		
- სათაო ოფისი	44,798	4,845

12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომლის აღრიცხვაც აუცილებელია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ან რომელიც გამოიწვევს კორექტირებებს იგივე ფინანსურ ანგარიშგებაში.